DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.07

ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა და მეურნეობა 1886 წლის კამერალური აღწერის მიხედვით

THE ADMINISTRATIVE-TERRITORIAL STRUCTURE, POPULATION, AND ECONOMY OF THE BATUMI OKRUG ACCORDING TO THE 1886 CAMERAL SURVEY

IRAKLI MANVELIDZE
Batumi Shota Rustaveli State University,
Professor, Doctor of Public Administration, Candidate of Historical Sciences
Batumi, Georgia
ORCID:0000-0001-6422-2049
irakli.manvelidze@bsu.edu.ge
+995 505 051976;

Abstract. The study analyzes the socio-economic characteristics of the Batumi Okrug based on the 1886 cameral census, which represents an important administrative-statistical source for 19th-century Adjara and contains data on population, land use, and economic activities. The aim of the research is to reconstruct the socio-economic profile of the okrug through the analysis of archival materials. Source-based, comparative, and statistical methods are applied, with particular emphasis on demography and land use patterns. The findings show that the economy of the Batumi Okrug was based on agriculture, forestry, and seasonal livestock farming. The study examines the system of alpine pastures (yaylas) and the role of waqf lands, also reflecting the historical and geographical characteristics of the region. The research is significant for the reconstruction of the administrative-territorial and socio-economic structure of the Batumi Okrug through the analysis of archival documents.

Keywords: *Batumi Okrug; 1886 Cameral Survey; administrative history; demography; land use; transhumant pastoralism; socio-economic history.*

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ირაკლი მანველიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
ბათუმი, საქართველო
ORCID:0000-0001-6422-2049
irakli.manvelidze@bsu.edu.ge
+995 505 051976;

აბსტრაქტი. ნაშრომში გაანალიზებულია ბათუმის ოკრუგის (1983-1903 წწ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა 1886 წლის კამერალური აღწერის საფუძველზე. ეს დოკუმენტი არის XIX საუკუნის აჭარის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ადმინისტრაციულ-სტატისტიკური წყარო, რომელიც მოიცავს მონაცემებს მოსახლეობის, მიწათსარგებლობისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. კვლევის მიზანია ოკრუგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პროფილის აღდგენა საარქივო მასალის ანალიზით. გამოყენებულია წყაროთმცოდნეობითი, შედარებითი და სტატისტიკური მეთოდები, დემოგრაფიისა და მიწათსარგებლობის პრიორიტეტული ანალიზით. კვლევა ადასტურებს, რომ ოკრუგი დაყოფილი იყო უბნებად და სოფლებად, ხოლო ეკონომიკა ეფუძნებოდა სოფლის მეურნეობას, სატყეო საქმიანობასა და სეზონურ მეცხოველეობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იალაღების სისტემასა და ვაკუფური მიწების როლს, რომლებიც ოკრუგის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების მნიშვნელოვან ასახვას წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: *ბათუმის ოკრუგი; 1886 წლის კამერალური აღწერა; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა; დემოგრაფია; მიწათსარგებლობა; სეზონური მეცხოველეობა; სოციალურ-ეკონომიკური ისტორია.*

შესავალი

XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი ეტაპია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ბათუმის ოკრუგის ისტორიაში. რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წლების ომისა და ბერლინის ტრაქტატის შემდეგ რეგიონი რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სივრცეში მოექცა, რასაც მოჰყვა ცენტრალიზებული მმართველობისა და ახალი ფისკალური სისტემის დანერგვა.

ამ პროცესების შესასწავლად მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ფონდში დაცული 1886 წლის კამერალური აღწერის მასალა (ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554). დოკუმენტი მოიცავს გონიოს, კინტრიშის, ქვემო და ზემო აჭარის უბნებს და შეიცავს ინფორმაციას მოსახლეობის, კომლების, დასახლებებისა და მიწის კატეგორიების შესახებ. მისი პირველადი მიზანი იყო იმპერიული ფისკა-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ლური პოლიტიკის, მათ შორის მიწათმფლობელობის რეგულირების უზრუნველყოფა (ბარამიძე, 1999, გვ. 103; ცინცაძე, 1980, გვ. 80).

წინამდებარე კვლევის მიზანია ამ საარქივო მასალის ანალიზით ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის რეკონსტრუქცია — განსაკუთრებული აქცენტით საიალაღო მეურნეობასა და ვაკუფური მიწების სისტემაზე, რომლებიც რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების ამსახველი უნიკალური ინსტიტუტები იყო.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს. პირველ ეტაპზე განხორციელდა საარქივო დოკუმენტის პალეოგრაფიული და ენობრივი დამუშავება; შიდა ტექსტუალური კრიტიკის საფუძველზე დადასტურდა მათი კავშირი 1886 წლის კამერალურ აღწერასთან.

რაოდენობრივი ანალიზით კლასიფიცირდა დემოგრაფიული მაჩვენებლები და მიწათსარგებლობის კატეგორიები. იალაღების გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და საზღვრების დადგენისთვის გამოყენებულ იქნა სივრცითი ანალიზის მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა რეგიონის მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო სისტემის რეკონსტრუქცია. მიღებული შედეგები შეჯერდა სხვა პერიოდის ანალოგიურ მასალებთან, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს.

შედეგები

1886 წლის კამერალური აღწერის მასალის დამუშავებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გამოკვეთა. ბათუმის ოკრუგი იყოფოდა ოთხ ადმინისტრაციულ უბნად: ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, გონიოსა და კინტრიშის. საარქივო ტექსტის ანალიზით დადგინდა ოკრუგის გარე საზღვრები: ჩრდილოეთით — მდინარე ჩოლოქი, აღმოსავლეთით — ახალციხის მაზრა, სამხრეთით — კარჩხალის მთიანი მასივი. ამავე წყაროს საფუძველზე აღდგა რეგიონის ტოპონიმიკა, რაც ისტორიული გეოგრაფიული სახელების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს ვერტიკალური სამეურნეო ზონალობის არსებობას. შემაჯამებელი უწყისის მიხედვით, ოკრუგში აღრიცხული იყო 312 სოფელი, 8 638 კომლი და 47 636 სული მოსახლეობა. მიწის ფართობების განაწილება კარგად ასახავს ამ ზონალობას: ტყეები — 207 711 დესეტინა, ველები და საძოვრები — 65 246 დესეტინა, საზაფხულო იალაღები — 30 749 დესეტინა, სახნავი მიწა — 21 192 დესეტინა. იმპერიულმა ადმინისტრაციამ იურიდიულად დაარეგისტრირა ეს ტერიტორიები, აღრიცხა საკომლო სტრუქტურა და საგადასახადო ვალდებულებები — რაც მხარის სრული ფისკალური ინტეგრაციის მიზანს ემსახურებოდა.

განხილვა

ისტორიული კონტექსტი და ადმინისტრაციული გარდაქმნები. XIX საუკუნის მიწურულს ბათუმის ოკრუგში ჩატარებული კამერალური აღწერა უკავშირდე-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ბოდა რუსეთის იმპერიის მიერ რეგიონის ადმინისტრაციული კონსოლიდაციის პროცესს. 1877–1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისა და ბერლინის ტრაქტატის შემდეგ საჭირო გახდა ახლად შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია იმპერიულ სისტემაში. ამ კონტექსტში აღწერა წარმოადგენდა არა მხოლოდ სტატისტიკურ, არამედ ფისკალურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტს — საგადასახადო ბაზის განსაზღვრისა და ცენტრალიზებული კონტროლის დამყარების საშუალებას (თურმანიძე, 2009, გვ. 36).

მიწათმფლობელობის კატეგორიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან რეგიონში ოსმალური სამართლის ნორმებიდან მომდინარე ვაკუფური მიწები და საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეები სახელმწიფო აღრიცხვაში ახლებური სტატუსით უნდა მოქცეულიყო. ამავდროულად, საიალაღო ტერიტორიების რეგისტრაცია ასახავდა ადგილობრივი სამეურნეო პრაქტიკის — სეზონური გადასვლის სისტემის — იმპერიული კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევის მცდელობას.

ამგვარად, 1886 წლის კამერალური აღწერა ასახავს გარდამავალ მომენტს, როდესაც ოსმალური ადმინისტრაციული მემკვიდრეობა თანდათანობით იცვლებოდა რუსული ფისკალური და სამართლებრივი წესრიგით.

ბათუმის ოკრუგის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული საზღვრები. კამერალური აღწერა დეტალურად განსაზღვრავს ბათუმის ოკრუგის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ საზღვრებს ოთხი მიმართულებით (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554).

ჩრდილოეთით ოკრუგი ოზურგეთის მაზრას ესაზღვრებოდა. საზღვარი იწყებოდა მდინარე ჩოლოქის შავ ზღვაში შესართავიდან, მიუყვებოდა მდინარის დინებას სათავეებამდე და გადიოდა ჭახათის მთის ძირით, ნაბაძირას, ხინოსა და თაგინურის სიმაღლეების გავლით.

აღმოსავლეთით, ახალციხის მაზრასთან, საზღვარი ემთხვეოდა ყოფილ რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო ხაზს. იგი გადიოდა ჯვრის ეკლესიის ნანგრევებთან და ბადშის უღელტეხილთან, შემდეგ მიუყვებოდა ქურჩხელის-წყაროს, გათუმერიის, გომის-ციხისა და შავნაბადას მწვერვალებს და ჩირუხის მაღლობებამდე აღწევდა, სადაც იწყებოდა მიჯნა ართვინის ოკრუგთან.

სამხრეთი საზღვარი ჩირუხიდან გადიოდა კანლი-დაღის, დემირ-კანისა და კარჩხალის მთამდე, შემდეგ მიემართებოდა სარფისა და ჭოროხის ხეობისკენ და ბალიხლი-დაღლარის ქედით უერთდებოდა რუსეთ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

დასავლეთით საზღვარი ხმელეთზე გადიოდა წკარისთის, საუზურგის, ვალონასა და კაანდარის სიმაღლეებზე და ეშვებოდა კაპმუშის კონცხამდე, სადაც სრულდებოდა სახმელეთო საზღვარი თურქეთთან. შემდგომ ოკრუგის საზღვარს შავი ზღვის სანაპირო წარმოადგენდა მდინარე ჩოლოქის შესართავამდე.

ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციული დაყოფა. ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციული სტრუქტურა XIX საუკუნის მიწურულს ხასიათდებოდა იერარქიული

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ტერიტორიული დაყოფით, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ იყო შემოღებული და მიზნად ისახავდა რეგიონის პოლიტიკურ, ფისკალურ და დემოგრაფიულ მართვას (მანველიძე, 2024:4). ოკრუგი იყოფოდა ოთხ ადმინისტრაციულ უბნად — კინტრიშის, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და გონიოს, რომელთაც განსხვავებული გეოგრაფიული და ეკონომიკური პროფილი ჰქონდათ (კარალიძე, 2009:90).

გონიოს უბანი სანაპირო და სასაზღვრო ზოლს მოიცავდა და აერთიანებდა გონიო-მაკრიალის, ერგე-კახაბრის და მომიჯნავე ხეობებს. ხელსაყრელი კლიმატის გამო სოფლის მეურნეობა განვითარებული ფორმებით იყო წარმოდგენილი (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554).

კინტრიშის უბანი ოკრუგის ჩრდილოეთ ნაწილს ფარავდა და მოიცავდა ჩოლოქის, აჭყვისწყლის, ჩაქვისწყლის და მახინჯაურის ხეობებს. სუბტროპიკული კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი მებაღეობისა და მეტყევეობის განვითარების საფუძველს ქმნიდა (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554).

ქვემო აჭარის უბანი აჭარისწყლის ქვემო აუზს მოიცავდა — მერისის, მაჭახლისა და ჭოროხის ხეობებით. რეგიონი გამოირჩეოდა შერეული მეურნეობით, სადაც მემცენარეობა მეცხოველეობასთან ერთობლივად იყო განვითარებული.

ზემო აჭარის უბანი ოკრუგის ყველაზე მაღალმთიანი ნაწილი იყო და მოიცავდა ჭვანის, ხულოს, ღორჯომისა და სხალთის ხეობებს. მისი ეკონომიკა ძირითადად საიალაღო მეცხოველეობაზე იყო დაფუძნებული და მჭიდროდ უკავშირდებოდა სეზონური გადასვლის სისტემას (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554).

ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციული უბნების საზღვრები. ბათუმის ოკრუგის უბნების საზღვრები ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიულ ნიშნულებს — წყალგამყოფ ქედებს, მდინარეებსა და ხეობებს — ეფუძნებოდა, რაც იმ პერიოდის ადმინისტრაციული დაყოფის დამახასიათებელ პრაქტიკას წარმოადგენდა (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554).

კინტრიშის უბანი ოკრუგის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მისი საზღვარი ხინოს მთის წყალგამყოფ ქედიდან იწყებოდა, მიემართებოდა მთა პერანგასკენ, შემდეგ დასავლეთისკენ უხვევდა ჩაქვის ქედსა და ყოროლისთავის მწვერვალზე და მდინარე მეჯინისწყლის აუზით შავ ზღვაში ჩადიოდა.

ზემო აჭარის უბანი კინტრიშისაგან ხინოს ქედით გამოიყოფოდა. ქვემო აჭარასთან საზღვარი მთა პერანგას მიდამოებიდან იწყებოდა, გვაცნასა და მოსიაშვილებისწყლის აუზზე გადიოდა, აჭარისწყალთან ხიჭაურის მიმართულებით ერთდებოდა და კავიანის ციხის ნანგრევებისა და გონის ქედის გავლით ოკრუგის სამხრეთ საზღვარს აღწევდა.

ქვემო აჭარის უბანი ოკრუგის ცენტრალურ-სამხრეთ ნაწილს მოიცავდა. გონიოსთან საზღვარი კარჩხალის მთიდან იწყებოდა, ქლასკურის ხეობით გადიოდა, მდინარე ჭოროხს მიუყვებოდა და ბათუმ-ახალციხის გზის გასწვრივ მეჯინისწყლის სათავეებამდე აღწევდა.

გონიოს უბანი ოკრუგის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ფარავდა. ჩრდილოეთით კინტრიშისა და ქვემო აჭარის უბნებს ესაზღვრებოდა, სამხრეთით და სამ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ხრეთ-აღმოსავლეთით კი სახელმწიფო საზღვარს — ოსმალეთისა და ართვინის ოკრუგის მიმართულებით (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554).

ბათუმის ოკრუგის მოსახლეობა. 1886 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ბათუმის ოკრუგის მოსახლეობა შეადგენდა 47 636 ადამიანს. აღწერა მიმდინარეობდა მკაცრი სქესობრივი დიფერენციაციით, რაც საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრაციული კონტროლის მიზნებს ემსახურებოდა (ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554). ამ პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა დროებით გათავისუფლებული იყო საყოველთაო სამხედრო ვალდებულებისგან, რის გამოც აღრიცხვა ძირითადად ფისკალურ და ადმინისტრაციულ მიზნებს ემსახურებოდა.

მამრობითი მოსახლეობა შეადგენდა 25 071 ადამიანს, მდედრობითი — 22 565-ს. მამრობითი სქესის შედარებით მაღალი წილი დამახასიათებელი იყო იმპერიული აღწერებისთვის და ხშირად უკავშირდებოდა ქალთა ნაწილობრივი აღრიცხვის პრობლემას, განსაკუთრებით მთიან დასახლებებში.

ცხრილი 1: ბათუმის ოკრუგის საერთო დემოგრაფიული და სტრუქტურული მაჩვენებლები (1886 წ.)

მაჩვენებლის დასახელება	რაოდენობრივი მაჩვენებელი
საერთო მოსახლეობა (ადამიანი)	47 636
მამრობითი სქესის მოსახლეობა	25 071
მდედრობითი სქესის მოსახლეობა	22 565
ოჯახების (კომლი) საერთო რაოდენობა	8 638
ფუნქციონირებადი სოფლის საზოგადოებები	79
რეგისტრირებული სოფლების (დასახლებების) რაოდენობა	312

წყარო: ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554.

რეგიონის სოციალურ-სამეურნეო ორგანიზების ძირითადი ერთეული იყო კომლი (რუსულ დოკუმენტაციაში — дымъ/дымовъ), რომლის საერთო რაოდენობა 8 638-ს შეადგენდა. საშუალოდ ერთ კომლში 5.5 ადამიანი ცხოვრობდა, რაც პატრიარქალური, გაფართოებული ოჯახური სტრუქტურების არსებობაზე მიუთითებს. კომლები გაერთიანებული იყო 79 სოფლის საზოგადოებაში — სათემო მმართველობის ძირითად ერთეულებში, რომლებიც 312 დასახლებულ პუნქტს მოიცავდა. ეს მაჩვენებლები რეგიონის შედარებით მაღალ სამეურნეო ათვისებაზე მიუთითებს, მიუხედავად რთული რელიეფური პირობებისა.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ცხრილი 2: ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციული უბნების შედარებითი და სტრუქტურული ანალიზი

უბნის სახელწოდება	სოფლები	სოფლის საზოგადოებები	დომინანტური ეკონომიკური პროფილი
გონიო	67	13	მიწათმოქმედება, მეხილეობა, საზღვაო ვაჭრობა
კინტრიში	49	20	მეტყევეობა, სუბტროპიკული მებაღეობა, მეფუტკრეობა
ქვემო აჭარა	64	23	შერეული მეურნეობა (მიწათმოქმედება-მესაქონლეობა)
ზემო აჭარა	132	23	საიალაღო მეცხოველეობა, სატყეო საქმე
ჯამი	312	79	—

წყარო: ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით ყველაზე დიდი წონა ჰქონდა ზემო აჭარის უბანს — 132 სოფელი და 23 სოფლის საზოგადოება, ოკრუგის სამოსახლო ქსელის თითქმის ნახევარი. ეს განპირობებული იყო ფართო გეოგრაფიული არეალითა და საიალაღო მეურნეობით, რომელიც განსახლების მრავალრიცხოვან, მაგრამ მცირე სათემო ერთეულებს ქმნიდა. გონიოსა და ქვემო აჭარის უბნებში დომინირებდა კონცენტრირებული, ბარის ტიპის შერეული მეურნეობა, კინტრიშის უბანი კი ტყის რესურსებითა და სუბტროპიკული მეურნეობით გამოირჩეოდა.

სოფლებისა და თემების სისტემატური აღრიცხვა საფუძვლად დაედო გადასახადების — მათ შორის მიწისგადასახადისა და აშარის (ашаръ) — რეგულარულ ადმინისტრირებას, პასუხისმგებლობის პირდაპირი დაკისრებით სოფლის მამასახლისებსა და უბნის ზედამხედველებზე. ამგვარად, ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციული სისტემა XIX საუკუნის ბოლოს ასახავდა გარდამავალ მოდელს, სადაც ტრადიციული სათემო-ხეობრივი განსახლება იმპერიულ ბიუროკრატიულ მმართველობასთან თანაარსებობდა.

ეკონომიკური პროფილი და მიწათსარგებლობა. XIX საუკუნის მიწურულს ბათუმის ოკრუგის ეკონომიკური სისტემა ეფუძნებოდა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სადაც მიწათმოქმედება, მებაღეობა და მესაქონლეობა ერთიან აგრარულ მოდელს ქმნიდა (კარალიძე, 2009:91–98). 1886 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ოკრუგის საერთო მიწის ფონდი შეადგენდა 338 837 დესიატინას და მკაფიოდ ასახავდა რეგიონის რელიეფურ და კლიმატურ თავისებურებებს.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ცხრილი 3: ბათუმის ოკრუგის მიწათსარგებლობის სტრუქტურა კატეგორიების და უბნების მიხედვით (1886 წ.)

მიწის კატეგორია	გონიოს უბანი	კინტრიშის უბანი	ქვემო აჭარის უბანი	ზემო აჭარის უბანი	საერთო ჯამი (ოკრუგი)
სახნავი და საკარმიდამო	3 366	6 210	3 545	8071	**21 192**
საძოვრები და ბუჩქნარები	20 324	12 544	19 962	12 416	**65 246**
ტყეები	47 056	44 204	51 910	64 541	**207 711**
კლდეები, გზები და მდინარეები	2 347	1 142	6 780	2 869	**13 138**
საზაფხულო იალაღები	4 034	394	5 325	20 996	**30 749**
ჭაობები	0	801	0	0	**801**
სულ ფართობი	**77 127**	**65 295**	**87 522**	**108 893**	**338 837**

წყარო: ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554.

მონაცემების მიხედვით, ზემო აჭარის უბანი ოკრუგის ყველაზე დიდი ტერიტორიული ერთეული იყო (108 893 დეს., 32%), სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა საიალაღო სარგებლობა (20 996 დეს.) და სატყეო ფონდი (64 541 დეს.). გონიოს უბანი (77 127 დეს.) ხასიათდებოდა ტყეებისა და საძოვრების დომინირებით, ქვემო აჭარა (87 522 დეს.) — შერეული აგრარული პროფილით, კინტრიში (65 295 დეს.) კი — შედარებით მაღალი სახნავი მიწებითა და მინიმალური იალაღებით, რაც მის ზღვისპირა-მთისწინა სპეციფიკას ასახავდა.

საერთო მიწათსარგებლობაში დომინირებდა სატყეო ფონდი (207 711 დეს., 61%), რაც მეტყევეობას იმპერიულ ფისკალურ სისტემაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსად აქცევდა. სახნავი და საკარმიდამო მიწა 21 192 დეს.-ს შეადგენდა, ხოლო საიალაღო ტერიტორიები — 30 749 დეს.-ს.

ეკონომიკურ სისტემაში ცენტრალურ როლს ასრულებდა საიალაღო მეცხოველეობა. ალპური საძოვრები რეგისტრირებული იყო და კონკრეტულ სოფლებზე მიბმული, რაც რესურსების სამართლიან განაწილებასა და კონფლიქტების პრევენციას უზრუნველყოფდა. იალაღების სისტემა, ტყეებისა და სახნავი მიწების კომბინაციასთან ერთად, ქმნიდა ვერტიკალურად დიფერენცირებულ ეკონომიკურ მოდელს — ბარში მიწათმოქმედება, მთისწინეთში მეტყევეობა, მაღალმთიანეთში მეცხოველეობა.

ამგვარად, ბათუმის ოკრუგის ეკონომიკა XIX საუკუნის ბოლოს წარმოადგენდა ბალანსირებულ აგრარულ სისტემას, სადაც ბუნებრივი გარემო განსაზღვრავდა

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

როგორც მიწათსარგებლობის სტრუქტურას, ისე წარმოების დარგობრივ სპეციალიზაციას.

კამერული აღწერის დოკუმენტის სპეციფიკური საკითხები - ე.წ. "სპეციალური სვეტები". ბათუმის ოკრუგის კამერალური აღწერა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დემოგრაფიული და მიწათსარგებლობის მონაცემებით. დოკუმენტში არსებობდა ე.წ. „სპეციალური სვეტები", რომლებიც ასახავდა ეკონომიკურ და იურიდიულ კატეგორიებს — ვაკუფური მიწების, ალპური საძოვრებისა და იალაღების შემოსავლებს, ასევე საადგილმამულო გამოსაღების (Поземельная подать) აღრიცხვას.

ვაკუფური მიწები ოსმალური პერიოდიდან მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის მატარებელი რელიგიური ინსტიტუტების საკუთრება იყო. რუსული ადმინისტრაცია მათ საერთო მიწის ფონდთან ერთად აღწერდა, რაც ფისკალური რეგულირებისა და კონტროლის ინტერესს ასახავდა.

ცხრილი 4. ფისკალური გამოსაღებები ბათუმის ოკრუგში უბნების მიხედვით (1886 წ.)

ადმინის-ტრაციული უბანი	საადგილმამულო გადასახა-დი(Поземельная подать, руб.)	აშარი / მეათე-დი(Ашаръ, руб.)	სულ საგადასახა-დო ვალდებულე-ბა (რუბლი)
გონიოს უბანი)	8 830	4 690	**13 520**
კინტრიშის უბანი	3 262	2 730	**5 992**
ქვემო აჭა-რის უბანი	5 241	2 354	**7 595**
ზემო აჭა-რის უბანი	9 034	2 326	**11 360**
ჯამი	**26 367**	**12 100**	**38 467**

წყარო: ქცსა, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554.

მონაცემები მიუთითებს, რომ ყველაზე მაღალი საგადასახადო ტვირთი გონიოსა და ზემო აჭარის უბნებზე მოდიოდა, რაც მათ ეკონომიკურ პოტენციალსა და ტერიტორიულ სიდიდეს ასახავდა. საადგილმამულო და ტრადიციული გადასახადების — აშარის — კონტროლი წარმოადგენდა როგორც ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელს, ისე იმპერიული მართვის ინსტრუმენტს. ფინანსური ნაკადების ცენტრალიზაცია უზრუნველყოფდა სტაბილურ შემოსავლებს და ამცირებდა ადგილობრივი ელიტების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

ამავდროულად, საარქივო მასალა კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს. აღმწერი კომისიები აწყდებოდნენ გეოგრაფიულ და სოციალურ სირთულეებს; ინფორმაცია ხშირად ეფუძნებოდა ადგილობრივი მამასახლისების ზეპირ ცნობებს, ხოლო

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მოსახლეობის უნდობლობა ახალი ადმინისტრაციის მიმართ იწვევდა ფისკალური ვალდებულებების ნაწილობრივ დამალვას. შესაბამისად, კამერალური აღწერის მონაცემები უნდა განიხილებოდეს მიახლოებით სურათად, რომელიც კრიტიკულ ინტერპრეტაციას საჭიროებს.

დასკვნა

1886 წლის კამერალური აღწერის ანალიზმა შესაძლებელი გახადა ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დეტალური რეკონსტრუქცია. დოკუმენტი ადასტურებს, რომ ოკრუგი ოთხ ადმინისტრაციულ უბნად — გონიოს, კინტრიშის, ქვემო და ზემო აჭარის — იყო დაყოფილი, 312 სოფლით, 8 638 კომლითა და 47 636 სულით.

ეკონომიკური სურათი ვერტიკალური ზონალობით ხასიათდებოდა: ბარში მიწათმოქმედება, მთისწინეთში მეტყევეობა და მაღალმთიანეთში საიალაღო მეცხოველეობა. სატყეო ფონდი (207 711 დეს., 61%) დომინირებდა მიწათსარგებლობაში, ხოლო საიალაღო ტერიტორიები (30 749 დეს.) ძირითადად ზემო აჭარის უბანზე მოდიოდა. ვაკუფური მიწებისა და იალაღების სპეციალური სვეტებით აღრიცხვა კი ოსმალური სამართლებრივი მემკვიდრეობის იმპერიულ სისტემაში ინტეგრაციის მცდელობას ასახავდა.

ფისკალური მონაცემები (საერთო გამოსაღები — 38 467 რუბლი) მიუთითებს ცენტრალიზებული საგადასახადო მექანიზმის დამკვიდრებაზე, რომელმაც ადგილობრივი სათემო-ხეობრივი სტრუქტურები იმპერიული ბიუროკრატიის ქვეშ მოაქცია. ამავდროულად, წყაროთმცოდნეობითი ანალიზი აჩვენებს, რომ მონაცემები მიახლოებით სურათს ასახავს და კრიტიკულ ინტერპრეტაციას საჭიროებს.

ამგვარად, კამერალური აღწერა XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის ოკრუგის შესასწავლად უნიკალური წყაროა, რომელიც ერთდროულად ასახავს ტრადიციული სოციალური წესრიგისა და იმპერიული მმართველობის გარდამავალ ეტაპს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყარო:

ქცსა, ფ.1554: ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 18, ანაწ. 1, საქ. 1554 ფ. 45-60, ბათუმის ოკრუგის ადმინისტრაციულ-სტატისტიკური აღწერის მასალები.

ლიტერატურა:

ბარამიძე, 1999: ბარამიძე ი. საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX ს-ის 70–80-იანი წლები), ბათუმი, 1999.

თურმანიძე, 2009: თურმანიძე ო. სასოფლო მმართველობის შემოღება და სოციალური ცვლილებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX–XX სს. მიჯნა), ბათუმი, 2009.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

კარალიძე, 2009: კარალიძე ჯ. აჭარა 1878–1903 წლებში: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ბათუმი, 2009.

ცინცაძე, 1980: ცინცაძე ზ. ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. 9, თბილისი, 1980.

Manvelidze, 2024: Manvelidze I. Formation of administrative unit and governance of Batumi District in the Russian Empire 1878–1917. Eastern Europe – Regional Studies, No. 2, 2024, pp. 1–8. Available at: https://psage.tsu.ge/index.php/Easternstudies/article/view/429 (Accessed: June 17, 2026).

References

Archival source:

KTSSA, F. 1554: Kutaisi Central State Archive, Fund 18, Inventory 1, File 1554, ff. 45–60. Materials of the Administrative-Statistical Census of the Batumi District (manuscript and printed documents).

Literature:

Baramidze, 1999: Baramidze I. From the History of Land Relations in South-West Georgia (1870s–1880s), Batumi, 1999. (In Georgian)

Karalidze, 2009: Karalidze J. Adjara in 1878–1903: Political, Economic and Social Conditions, Batumi, 2009. (In Georgian)

Manvelidze, 2024: Manvelidze I. Formation of administrative unit and governance of Batumi District in the Russian Empire 1878–1917. Eastern Europe – Regional Studies, No. 2, 2024, pp. 1–8. Available at: https://psage.tsu.ge/index.php/Easternstudies/article/view/429 (Accessed: June 17, 2026).

Turmanidze, 2009: Turmanidze O. Introduction of Rural Administration and Social Changes in South-West Georgia (Turn of the 19th–20th Centuries), Batumi, 2009. (In Georgian)

Tsintsadze, 1980: Tsintsadze Z. Territorial-administrative division of the Chorokhi Basin in the 19th and early 20th centuries. In: Monuments of South-West Georgia, Vol. 9, Tbilisi, 1980.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026